ადგილობრივი ეკონომიკური დარგებისა და კლასტერების კონკურენტუნარიანობის ანალიზი
სასწავლო პროგრამის სილაბუსი

N	სექცია	აღწერა
1.	სასწავლო პროგრამის დასახელება	ადგილობრივი ეკონომიკური დარგებისა და კლასტერების კონკურენტუნარიანობის ანალიზი
2.	სასწავლო პროგრამის მიზანი	კურსის მიზანია ტრენინგის მონაწილეები დაეუფლონ ადგილობრივი ეკონომიკური დარგებისა და კლასტერების კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდებს, რათა შეძლონ ადგილობრივი პროგრამებით ეკონომიკური ზრდის წახალისება.
3.	სასწავლო პროგრამის ზოგადი მიმოხილვა	გეოგრაფიულ არეალში ეკონომიკის ტრადიციული და პერსპექტიული სექტორებისა და ქვესექტორების შესწავლა, „კონკურენტული უპირატესობის“ გამოვლენა წარმოადგენს უმთავრეს წინაპირობას LED პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. სასწავლო პროგრამა ეყრდნობა ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებას ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით. პროგრამა გათვლილია ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის და ითვალისწინებს ისეთ ძირითად საკითხებს, როგორებიცაა ადგილის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული განსაზღვრა; კლასტერები და მათი ხელშეწყობა; ეკონომიკური კლასტერების კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკურ-სოციალური მაჩვენებლების ანალიზი.
4.	პროგრამის ძირითადი თემები/ქვეთემები	1. **ადგილის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და ფუნქციური განმარტება - 3 სთ (ლექცია - 60 წთ პრაქტიკული - 120 წთ)** • ტერიტორიული მოწყობა (თვითმმართველობა;

		რეგიონი; ავტონომიური რესპუბლიკა) • ადგილის ფუნქციური მნიშვნელობა • ადგილის ფუნქციური განსაზღვრის მეთოდები (Chains; CURDS – Centre for Urban and Regional Development Studies; Intramax) **2. კლასტერები და მათი სპეციფიკა - 4 სთ (ლექცია - 90 წთ; პრაქტიკული - 90 წთ)** • ეკონომიკური დარგები და მათი კლასიფიკაცია (სექცია; განყოფილება; ჯგუფი; კლასი; ქვეკლასი) • კლასტერის განმარტება • კლასტერების განსაზღვრის მეთოდი (Industrial District; Hub-and-Spoke) • კლასტერული განვითარების თეორია • კლასტერების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები **3. მუნიციპალიტეტის ან ფუნქციური ზონის ეკონომიკური კლასტერების კონკურენტუნარიანობის შესწავლის მეთოდები - 9 სთ (ლექცია - 160 წთ; პრაქტიკული - 440 წთ)** • კონკურენტუნარიანობის განმარტება • Smart Specialisation; • Shift-Share Analyse; • Location Quotient Analyse • ბიზნეს რეესტრის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი • მაკროეკონომიკური პარამეტრების ეკონომიკური დარგების მიხედვით ანალიზი რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე (მშპ; ბრუნვა; ინვესტიციები; დასაქმება) **4. მუნიციპალიტეტის კომპეტენცია და შესაძლებლობა კლასტერების კონკურენტუნარიანობის ზრდის ჭრილში - 2 სთ (ლექცია - 30 წთ; პრაქტიკული - 90 წთ)** • ადგილობრივი მუნიციპალური პროგრამების შედგენის უფლებამოსილება • კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინსტრუმენტები

		• კონკურენციის არსი და არსებული რეგულაციები • მუნიციპალურ დონეზე არსებული გამოწვევები და შეზღუდვები
5.	სწავლების ფორმა და ფორმატი	„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის #242 დადგენილების გათვალისწინებით, სწავლების ფორმად შერჩეულია: საკლასო მეცადინეობა, რაც გულისხმობს ტრენერის თანდასწრებით მეცადინეობას ლექციის, სემინარისა და სხვა ფორმატში; საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი გადამუშავება ელექტრონული სწავლების ფორმაში.
6.	სწავლებისთვის საჭირო რესურსები	გარემო/ფართი უსაფრთხოების, ჰიგიენის, კონდიცირება/გათბობის, კვების ნორმების დაცვით, მაქსიმუმ 20 მსმენელზე გათვლილი სასწავლო აუდიტორია, საჭირო რაოდენობის სკამები და მაგიდები, დამატებითი სივრცე აქტივობების ჩასატარებლად, დამატებითი სივრცე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის (ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში). **ტრენინგის ინსტრუმენტები:** • ფლიპ-ჩარტის დაფა; • ფლიპ-ჩარტის ფურცლები; • ფერადი მარკერები; • ქაღალდის სკოჩი; • A4 ზომის ფურცლები; • მაკრატლები; • წებო; • ბლოკნოტები და კალმები ყველა მონაწილეს; **ტექნიკა:** • პროექტორი; • საპრეზენტაციო დაფა;

		• კომპიუტერი/ლეპტოპი; • Wireless presenter
7.	სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა	18 საკონტაქტო საათი
8.	საათების განაწილება	• ტრენინგ-დღის ხანგრძლივობა შეადგენს 3 დღეს • თითო დღის განმავლობაში ჩატარდება 4 სესია, • თითოეული სესიის ხანგრძლივობა შეადგენს 1,5 საათს; *შენიშვნა: ელექტრონული ფორმატის შემთხვევაში, დღეებისა და საკონტაქტო საათების რაოდენობა დამკვეთთან შეთანხმებით მოდიფიცირდება.*
		თეორიული მეცადინეობისა და პრაქტიკული სამუშაოს შეფარდება: • თეორიული მეცადინეობა/ლექცია - 5 სთ და 40 წთ; • პრაქტიკული მეცადინეობა - 12 სთ და 20 წთ. *შენიშვნა: თეორიულ მეცადინეობაზე ხდება მასალის პრეზენტაცია, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობაზე - პრაქტიკული შემთხვევების (ქეისის) განხილვა, სავარჯიშოების შესრულება და დისკუსია თემატური საკითხების ირგვლივ*
9.	სამიზნე მონაწილეები	ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები (ეკონომიკური და ფინანსური მიმართულებები)
10.	დაშვების წინაპირობა	წინაპირობის გარეშე
11.	მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს
12.	ტრენერი	**პროგრამაში ჩართულ ტრენერს აქვს:** ა) სულ მცირე მაგისტრის ხარისხი სასწავლო პროგრამის შესაბამის სფეროში ბ) ტრენერად მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება გ) ეკონომიკურ საკითხზე მუშაობის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება
13.	სწავლის შედეგები და კომპეტენციები	**ცოდნა** მონაწილე იცნობს კონკურენტუნარიანი ეკონომიკური დარგების

		იდენტიფიკაციის და ადგილობრივ დონეზე ეკონომიკის განვითარების მეთოდებს
		დამოკიდებულება მონაწილე იზიარებს გრძელვადიან ეფექტებზე მიმართული პროექტების შემუშავების მნიშვნელობას და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების არადისკრიმინაციული ხელშეწყობის პრინციპებს
		უნარ-ჩვევები მონაწილე გამოიმუშავებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; ეკონომიკური დარგების კონკურენტუნარიანობის დადგენისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის უნარს.
14.	სწავლა-სწავლების პრინციპები და მეთოდიკა	პროგრამა აგებულია ზრდასრულთა განათლების პრინციპების გათვალისწინებით. ტრენინგის ჩატარების დროს გამოყენებული იქნება: • პრეზენტაცია • დისკუსია/დებატები • ჯგუფური (collaborative) მუშაობა • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) • შემთხვევების შესწავლა (Case study)
15.	შეფასების წესი	ტრენინგის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პრე და პოსტ ტესტები, რაც უზრუნველყოფს ტრენინგის მონაწილის ცოდნის დონის განსაზღვრას
		პრე-ტესტი შედგება 20 კითხვისგან დახურული პასუხებით (3 სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხი). პრე-ტესტი ემსახურება ტრენინგის მონაწილის ცოდნის დონის განსაზღვრას სწავლების პროცესის დაწყებამდე.
		პოსტ-ტესტი შედგება 20 კითხვისგან დახურული პასუხებით (3 სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხი). პოსტ-ტესტის კითხვები პრე-ტესტის იდენტურია. პოსტ-ტესტი ემსახურება ტრენინგის მონაწილის მიერ სასწავლო პროცესის დასრულების მომენტში ცოდნის დონის განსაზღვრას. პრე და პოსტ-ტესტების შედეგების შედარებითი ანალიზით შესაძლებელია სწავლების შედეგის განსაზღვრა.
		პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას არანაკლებ 80%-იანი

		დასწრების მაჩვენებლისა (საკონტაქტო საათების მიხედვით) და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგის საფუძველზე (არანაკლებ 60% სწორი პასუხი პოსტ-ტესტის კითხვებზე) .
16.	ლიტერატურული წყაროები	**ძირითადი სასწავლო მასალა:** ტრენინგ კურსისთვის შემუშავებული საკითხავი მასალა (Handbook), რომელიც 25-30 გვერდისგან შედგება. **დამატებითი წყაროები:** • გამოყენებითი კვლევები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის; CTC; 2018-2019 • ეკონომიკის პრინციპები; გრეგორი მენქიუ; 2014 • Competition, Competitive Advantage, and Clusters: The Ideas of Michael Porter; 2011 • ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი • კონკურენციის შესახებ კანონი • www.geostat.ge